ხელშეკრულება N 103

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი "23" [illegible] " 2011 წ.

სსიპ **„საფინანსო-ანალიტიკური სამსახური"** (შემდგომში „შემსყიდველი) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის სახით, და სს „ელიტელექტრონიქსი" (შემდგომში „მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მიხეილ ბენიამინის სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები" ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.6 „საქონელი" - წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული **(ტელევიზორების)** საქონლის მიწოდება **(CPV-32324000).**

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1188 (ათას ას ოთხმოცდარვა) ლარს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გაწეული საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალიწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 დღის განმავლობაში;

ბ) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

გ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

5. გაწეული მომსახურების ხარისხი და გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს და დანართ N1-ში გათვალისწინებულ მაჩვენებლებს.

5.2 მიწოდებულ საქონელზე ვრცელდება 2 (ორი) წლიანი გარანტია.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ფრიდონ სტეფნაძე.

6.3 ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 10 (ათი) დღეში გამოასწოროს წუნი, თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება, დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 დანართი N1-ით გაწეული საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელისმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 დანართი N1-ით გაწეული საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი ჯაბა ხმალაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;

8.2 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს დანართი N1-ით გაწეული საქონლის ღირებულება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტით განსაზღვრული დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცდენის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.3% ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.3% ოდენობით.

10.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს თანხის ანაზღაურება.

10.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

14.2 წინამდებარე ხელშეკრულების და მე-6 მუხლი და მე-10 მუხლის 10.2 პუნქტის მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს მე-5 მუხლის 5.2 პუნქტში მითითებული ვადის ამოწურვამდე.

15. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო მეორე შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ **საფინანსო-ანალიტიკური სამსახური**
მისამართი: ქ.თბილისი, გორგასლის ქ. N16
ტელ: 832 226 1 072, 832 226 1 095.

საბანკო რეკვიზიტები: ანგ. N200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204577813

მიმწოდებელი

სს „ელიტელექტრონიქსი"
მისამართი: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის 24

საბანკო რეკვიზიტები: ა/ა : GE69TB0600000120467205
თიბისი ბანკის (ვაკის) ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი : 220101830 TBCBGE22;
ს.კ :202268928

დანართი N1

შესყიდვის ობიექტი და CPV კოდი	შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდ ენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7
ტელევიზორები **32324000**	SAMSUNG LE26D450G1W თხევდაკრისტალური ტელევიზორი (LCD) ზომა: 26 ინჩი (66სმ) რეზოლუცია: 1366:768 HD Ready: 1366:768 Wide Colour Enhancer ტექნოლოგია Widescreen(16:9)USB MOVIE DIVX HD(ფოტო / მუსიკა / ვიდეო)MEDIA PLAYER(ფოტო, მუსიკა, ვიდეო ფაილების გახსნა) ANYNET+ (მრავალფუნქციური პულტი) DIGITAL NOISE FILTER(ციფრული ხმაურის შემცირება) GAME MODE (თამაშის რეჟიმი) CRISTAL TV Pip - რეჟიმი სურათი სურათში (ერთ ტუნერზე) 50 ჰერცი ხედვის კუთხე: 170° ეკრანის ფორმატი: Full/ Normal/ Wide Zoom/ Zoom საათი, ჩართვა-გამორთვის ტაიმერი, ძილის რეჟიმი ავტომატურად არხების ძებნა არხების ხელით ამოყვანა ტელეტექსტი PLANET FIRST(ლოგოტიპი. ეკოლოგიურად უსაფრთხო პლანეტა) დინამიკის სიმძლავრე: 10W (5W x 2) Dolby Digital Plus, Dolby Pulse SRS Theater Sound DTS 2.0 + HDMI /2 Component USB ფოტო - მუსიკა-ვიდეო PC-IN PC AIUDIO IN SCART AUDIO OUT Optical H/P(ყურსასმენი) ANT სამუშაო ძაბვის მოთხოვნილება: AC 110-240V, 50Hz/60Hz ლ. მოხმარება: 85 W **ფეხით:** 647x477x222 სმ 6.8 კგ **უფეხოთ:** 647x432x77 მმ 6.2 კგ	ცალი	1	689	689	ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, (სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური)
	SHARP LC-22LE420M FULL HD : 1920:1080 Widescreen(16:9) USB MOVIE DIVX HD(ფოტო / მუსიკა / ვიდეო) Pip - რეჟიმი სურათი სურათში (ერთ ტუნერზე) ჰერცი: 100 / 120 Hz ხედვის კუთხე: 160° ეკრანის ფორმატი: Full/ Normal/ Wide Zoom/ Zoom ავტომატურად არხების ძებნა არხების ხელით ამოყვანა ტელეტექსტი დინამიკის სიმძლავრე: 6W (3W x 2) Stereo HDMI /2 S-video AV /in AV/out Component USB PC-IN PC AIUDIO IN H/P(ყურსასმენი) ANT სამუშაო ძაბვის მოთხოვნილება: AC 110-240V, 50Hz/60Hz ელ. მოხმარება: 35 W **ფეხით:**533 x 384 x 188სმ 5.4 კგ **უფეხოთ:** 533 x 350 x 44 მმ 4.8 კგ		1	499	499	

სულ:1188 ლარი

შემსყიდველი

მიმწოდებელი